თავი IV
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2016 წლის 9 თვის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა (-254 605.1) ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 119 337.9 ათასი ლარის ოდენობით.

2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 347 069.9 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
	307,178.9	347,069.9
სესხები	158,415.0	214,366.5
აქციები და სხვა კაპიტალი	148,763.9	132,703.4

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 227 732.0 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
	381,105.6	227,732.0
ვალუტა და დეპოზიტები	336,805.6	180,613.1*
სესხები	44,300.0	46,397.1
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	718.5
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	3.3

*ვალუტა და დეპოზიტებში 180 613.1 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის გამოყენებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 622 361.8 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2016 წლის 1 ოქტომბრისათვის განისაზღვრა 441 748.7 ათასი ლარით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 373 943.1 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 668 688.1 ათასი ლარი, მათ შორის:

- 210 979.9. ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;

- 457 708.2 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
	834,885.5	668,688.1
საშინაო	65,922.0	210,979.9
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	65,922.0	210,979.9
საგარეო	768,963.5	457,708.2
სესხები	768,963.5	457,708.2

ათას ლარებში

დასახელება	**საანგარიშო პერიოდის ფაქტი**
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	**457,708.2**
IFAD	611.4
WB	137,267.4
EBRD	25,158.4
ADB	176,284.1
EIB	34,837.9
საფრანგეთი	43,487.3
იაპონია	8,268.2
გერმანია	31,793.6

2016 წლის სამი კვარტლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 32 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 906 400.0 ათასი ლარის მოცულობით. ამავე პერიოდში დაიფარა 690 286.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 59.6% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 27.2% - 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 9.9% - 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 3.3% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებულმა თანხამ 876 224.2 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 665 244.3 ათასი ლარი შეადგინა. სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად, საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდამ შეადგინა 210 979.9 ათასი ლარი.

2016 წლის 9 თვის განმავლობაში გამოშვებული და დაფარული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები

ათას ლარებში

თვე	**ვალდებულებების ზრდა**	**ვალდებულებების კლება**	**ვალდებულებების წმინდა ზრდა**
იანვარი	117,986.4	110,168.6	7,817.8
თებერვალი	88,569.3	152,230.7	-63,661.4
მარტი	123,119.0	97,105.9	26,013.2
აპრილი	58,169.7	4,983.9	53,185.8
მაისი	72,671.6	90,538.4	-17,866.8
ივნისი	124,745.6	68,160.9	56,584.7
ივლისი	123,772.0	25,249.8	98,522.2
აგვისტო	134,153.8	86,227.1	47,926.7
სექტემბერი	33,036.8	30,579.0	2,457.7
სულ	**876,224.2**	**665,244.3**	**210,979.9**

3. ვალდებულებების კლება 294 745.0 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
	303,378.9	294,745.0
საშინაო	49,549.9	48,515.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	28,000.0	28,000.0
სესხები	966.8	966.8
სხვა კრედიტორული დავალიანებები	20,583.1	19,548.1
საგარეო	253,829.0	246,230.1
სესხები	228,881.0	221,282.1
სხვა კრედიტორული დავალიანებები	24,948.0	24,948.0

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალმა შეადგინა 13 405.1 მლნ ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალი შეადგენს 3 010.6 მლნ ლარს, მათ შორის: ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის“) – 360.8 მლნ ლარი, სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 149.0 მლნ ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 516.1 ათასი ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 1 312.3 მლნ ლარი, სხვა სავალო ვალდებულებები (ე. წ. „ისტორიული ვალი“) – 672.3 მლნ ლარი.

- სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 10 394.5 მლნ ლარი.

ათას ლარებში

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით
სულ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი	**10,394,484.7**
მთავრობის საგარეო ვალი	**10,376,274.5**
მრავალმხრივი კრედიტორები	**7,414,907.7**
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	2,809,993.4
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	1,537,328.2
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	64,522.9
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	260,146.2
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	208,791.6
ევროგაერთიანება (EU)	26,132.0
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	1,931,781.1
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	576,212.4
ორმხრივი კრედიტორები	**1,791,519.7**
ავსტრია	28,562.3
აზერბაიჯანი	23,149.7
თურქმენეთი	491.7
თურქეთი	44,302.2
ირანი	18,004.2
რუსეთი	188,268.9
სომხეთი	27,015.6
უზბეკეთი	530.6
უკრაინა	484.6
ყაზახეთი	64,705.1
ჩინეთი	6,291.5
გერმანია	637,931.2
იაპონია	480,478.9
კუვეიტი	34,250.8
ნიდერლანდები	2,913.4
ამერიკა	61,819.4
საფრანგეთი	172,319.5
ფასიანი ქაღალდები	**1,164,850.0**
ევროობლიგაცია	1,164,850.0
გარანტირებული კრედიტები	**4,997.0**
გერმანია	4,997.0
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	**18,210.2**
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	18,210.2